№233

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 24 დეკემბერი 2014წ.

ერთის მხრივ ***თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი,*** *მისამართი: ბორჯომი მესხეთის ქუჩა №5, წარმოდგენილი გამგებლის დიმიტრი ყიფიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“)*

და მეორეს მხრივ ***შპს "თეგეტა მოტორსი",*** *იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №5, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძეს მინდობილი პირის ილია თედორაძის (2014 წლის 26 ივნისის №0807/ა მინდობილობა) სახით (შემდგომში "მიმწოდებელი")*

და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა **ბორჯომის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ავტომანქანისათვის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა თანმდევი მომსახურებით (CPV34300000)**, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი შემდეგი თანხით: **308** (სამასრვა) **ლარი 00 თეთრი**.

(საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის, თ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით)

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

2.1 ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამარტივებული შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს *მუნიციპალიტეტის კუთვნილი ავტომანქანა "მკოდა ოქტავია"-ს, გამოშვების წელი 2010, სახ ნომერი FFT897, სათადარიგო ნაწილების შესყიდვა თანმდევი მომსახურებით დანართი №1 შესაბამისად.*

2.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმდევი მომსახურება: ნაწილების შეცვლა და ავტომანქანაზე დაყენება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. ძრავის ზეთის, ზეთის ფილტრის და აკუმულატორის ფასი მოიცავს მათი შეცვლის ღირებულებასაც.

3. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

"შემსყიდველი" ---------- "მიმწოდებელი" ----------

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
4.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული საქონელი ფასების ცხრილის მიხედვით.
5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება მოხდება სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
6.2 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი არის ბორჯომის მუნიციპალიტეტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავრი სპეციალისტი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის საფუძველზე. ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება – ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. ფასები

8.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე აგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
11.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

"შემსყიდველი" _____ "მიმწოდებელი"_____

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესისდა მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. გამოყენებული სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით,

"შემსყიდველი" ---------- "მიმწოდებელი" ----------

ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გადასახადები და დაბეგვრა
18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის 31 იანვრამდე.
20. სხვა პირობები
20.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
20.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
20.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
20.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

"შემსყიდველი" – თვითმმართველი ერთეული ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ბორჯომი მესხეთის ქუჩა №5. თი-ბი-სი ბანკის სამცხე-ჯავახეთის ფილიალი ა/ანგ.№ GE25TB0105833030100001, ბანკის კოდი TBCBGE22, საიდენტიფიკაციო კოდი 226161961;

_____ დ. ყიფიანი

ბ.ა.

"მიმწოდებელი" – შპს "თეგეტა მოტორსი", ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №5, საიდენტიფიკაციო კოდი 202177205, სს "თი-ბი-სი ბანკი", ა/ანგ№ GE80TB0600000024467853, ბანკის კოდი TBCBG22;

_____ ბ. თედორაძე

ბ.ა.

"შემსყიდველი"_____ "მიმწოდებელი"_____

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთოღირებულება (ლარი)
1	2	3	5	6	7
1	ზეთი ძრავის შელი	10W40 Helix HX7 209L	5 ლიტრი	14,00	70,00
2	ფილტრი ზეთის	MANN W 719/45	1 ცალი	30,0000	30,00
3	ავტოქიმია	S. 332505 შუშ საწ. კონ. ზამთ 5ლ.	1 ბალონი	28,0000	28
4	აკუმულატორი ვარტა ბლუ	60 ა/ს D-24	1 ცალი	180,0000	180,00
	სულ				308,00

"შემსყიდველი" _____ დ. ყიფიანი

"მიმწოდებელი" _____ ი. თედორაძე

შპს თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS LTD

თეგეტა მოტორსი
TEGETA MOTORS

№0807/ა
26.06.2014 წ

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „თეგეტა მოტორსის" გენერალური დირექტორი თემურ კოსიძე ვნდობა ანაგე ნარიანაძეს ინდივიდუალურ საწარმოს „ეკონომიკა" დირექტორობა-თანამდებობის პირადობის №№ 11000035 [illegible] აქვს უფლება ხელი მოაწეროს საქონლისა და მომსახურების მიწოდების, ნარიცხის მომსახურების ხელშეკრულებებზე. ასევე უფლება აქვს იყოს სახელგადიების წარმომადგენელი საჯარო რეესტრში. მინდობილი პირის სახელით ხელი მოაწეროს თანხის ხელშეკრულებას, შეუფიტოს, ვადა გააგრძელოს ან შეიტანოს ცვლილება მასში. შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების განხორციელებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2014 წლის 26 ივნისიდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პირადი ხელმოწერა (ფლი) თემურიძე: .....

პირადი ნომერი: 05001001979

მისამართი: დაბა ამბროლაური, რუსთაველის ქ. №12

მიწვევის კანონი ორგანიზ. ფ. ანგარიშგება: ნ.მიქელაძე ბიესტრის საჯარო [illegible] სამსახური

ვადების თარიღი: 24.04.2008წ

TEGETA MOTORS LTD * 205117125 * TEGETA MOTORS №25

ამტკიცებს,
შპს"თეგეტა მოტორსის"
გენერალური დირექტორი

თემურ კოსიძე